საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 192

25 12 2015 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებების განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის სხდომის N22 ოქმის 22-ე საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული მოქალაქეების განცხადებების გათვალისწინებით

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, როგორც გამონაკლისი, უზრუნველყოს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარისში მცხოვრები ალექსანდრე აბრამიშვილისათვის მედიკამენტებისათვის 1800 ლარის, სოფელ წერეთელში მცხოვრებ ლია ბრეგვაძისათვის შვილის ჯულიეტა ბრეგვაძის იტალიაში, ქალაქ ვერონაში გასამგზავრებლად (რომელსაც ვერონაში ჩაუტარდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია და ამ ეტაპზე ესაჭიროება ჯანმრთელობის შემოწმება) – 1000 ლარის, ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N42-ში მცხოვრები გიულნარა კიარიმოვას მედიკამენტებისათვის 400 ლარის და სოფელ სადახლოში მცხოვრები ორხან შამშიევს ოპერაციისათვის 500 ლარის გადარიცხვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI